ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 3-66

ქ. თბილისი „27“ 02 .2015 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის უჩა ძოძუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გურჩიანის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10[1] მუხლის 3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1 - ით გათვალისწინებული საქონლის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვა სსიპ სსსტც „დელტა“-ს ბალანსზე რიცხული ავტომობილისთვის **Toyota Hilux , 2.5 T/ Diesel, 5 seats, 5 Speed Manual, double cabine (vin code MR0FR22G600717123)** სახელმწიფო ნომრით **AF027FA.**
2.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 190.00 (ას ოთხმოცდაათი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალების განბაჟების ხარჯს.
3.2. ხელშეკრულების ფასში შედის ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები,

4. **მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი აწვდის შემსყიდველს საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.
5.2. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებით.
5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს პროექტების მართვის და მომსახურების დეპარტამენტის ჰუმანიტარული განაღმვის სამმართველოს უფროსს ოლეგ გოჩაშვილს.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომეტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.
5.5. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ღირებულება.
6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%-ის ოდენობით (ავანსი), მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
6.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლები 30 დღით უნდა აღემატებოდეს;
6.5. თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შესრულებული ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს ან შემცირდეს, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.
7.1.2. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.4.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.4.2. მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.4.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

7.5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.5.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება.

7.5.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 8.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.5.3. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5.4. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.5.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.5.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.5.7. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5.8. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

10.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

10.3. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

10.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

11.2დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის სსიპ სსსტც „დელტა"-ს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს ლაშა მურჯიკნელს.

11. სხვა პირობები

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

12.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

12.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

12.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" მისამართი: ქ. თბილსი, მნათობის ქ. #73 ტელ./ფაქსი: 2955027 საიდენტიფიკაციო კოდი №202297335 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი: 707297065	შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ. ტელ: 2 53 19 63; 2 52 20 22; 577 97 97 99 ს/კ: 211346220 საბანკო რეკვიზიტები: სს “ბანკი ქართუ” საბანკო კოდი GRTUGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE50CR0000000019833602
გენერალური დირექტორი _____ ეზა ძოძუაშვილი “27” 02 2015 წ.	დირექტორი _____ ირაკლი გურჩიანი “22” 02 2015 წ.

2015 წლის 27 თებერვლის №3-66 ხელშეკრულების დანართი №1

ხელშეკრულების ობიექტი

N	დასახელება	CPV	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
1	ზეთის ფილტრი	42913300	ცალი	1	35.00	35.00
2	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	09211100	ლიტრი	7	20.00	140.00
3	ზეთის და ფილტრის გამოცვლა	50100000	-	-	15.00	15.00
საერთო ღირებულება 190.00 (ას ოთხმოცდაათი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით						

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335

გენერალური დირექტორი

_____ ეჩა ძოძუაშვილი

"27" 02 2015 წ.

მიმწოდებელი:

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი"
საიდენტიფიკაციო კოდი №211346220

დირექტორი

_____ ირაკლი გურჩიანი

"27" 02 2015 წ.

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 27/02/2015 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა", შემდეგომში – შემსყიდველი და მეორეს მხრივ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ შემდეგომში – მიმწოდებელი ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის 2015 წლის 27 თებერვალს გაფორმებული № 3-66 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა გადასცა შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 190.00 (ას ოთხმოცდაათი) ლარი.

მიიღო შემსყიდველი: სსიპ -სსსტც "დელტა" _____ ოლეგ ფოჩაშვილი "27" 02 2015წ.	ჩააბარა მიმწოდებელი: შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ _____ ირაკლი გურჩიანი "27" 02 2015 წ.

TOYOTA QUALITY SERVICE

	ტრანსპორტის სახე:	შეკვეთის შესრულების ვადა:
საქართველო, თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 20-ე კმ. ტელ: 2522022/2531963, ფაქსი: 2530531	მოდელი: HILUX სახ.ნომერი: AF027FA გარბენი: 9500კმ დამატ. ინფ: .	შეკვეთის დაწყების დრო: 27/02/2015
დამკვეთი: ს/ნ 202297335		შეკვეთის დასრულების დრო:
სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეც ტექნიკ ცენტრი დელტა	შასის # : მწარმ.:TOYOTA	27/02/2015

#	შესრულებული სამუშაო	სამუშაოს ღირებულება
1	ზეთის და ფილტრის გამოცვლა	15.00
		15.00

#	დახარჯული მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
1	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	ლიტრი	7	20.00	140.00
2	ზეთის ფილტრი	ცალი	1	35.00	35.00
					175.00

სულ შესრულებული მომსახურების ღირებულება: 190.00

ფასდაკლება 0 %: 0.00

გადასახდელი თანხა: 190.00

მათ შორის დღგ 18%: 28.98

დამკვეთი: ____________ შემსრულებელი ____________

შპს "ტოიოტა ცენტრი თბილისი" ს/ნ 211346220
ანგარიშსწორების ანგარიში---GE50 CR00 0000 0019 8336 02
RTGS კოდი------------------------------------CRTUGE22
სს ბანკი ქართუ

შეკეთებაზე

No:

ავტორიზირებული სერვის ცენტრი

TOYOTA

სერვისის ტიპი: ☐ გეგ. ტექ. მომსახ. ☐ რემონტი ☐ სათ./სამღებრ. ☐ საგარანტიო ☐ შიდა ☐ განმ. შეკეთება

სერვისის მრჩეველი: | მიღების დრო: | მიწოდების დრო: | მიმღების პარკინგი: | მიწოდების პარკინგი:

მინიჭებული დრო: | გადახედილი მიღ. დრო: | გადახედ. მიწ. დრო: | შეინახეთ ნაწილები: ☐ კი ☐ არა | ნაწილების კალათა:

კლიენტი:
მისამართი:
ელ. ფოსტა:
ტელეფონი:

მოდელი:
სარ.ნომ: 1F027FA
VIN:
გარბენი: 95 | გარანტ. დაიწყო:

კლიენტის მოთხოვნები:

სამუშაოების/ნაწილების ჩამონათვალი

No	სამუშაოს კოდი / ნაწილის ნომერი	აღწერა	ტექნიკოსი	ნორმატიული დრო / რაოდენობა

დამატებითი სამუშაოები/სამუშაოების შეწყვეტა:

შეწყვეტილი სამუშაოს პარკირების N:

No	სამუშაოს კოდი	აღწერა	ერთ. ღირებულება	ნორ.დრო	ფასი

ნაწილები:

No		აღწერა	რაოდ. საწყობშია	შეკვეთ.	მ.ს. დრო:	ფასი	ჯამი

დაზუსტებული ფასები: | ნაწილები: | სამუშაო: | ჯამი:

კლიენტთან კონტაქტი თარიღი: | დრო: | კლიენტის დასტური თარიღი: | დრო:

სამუშაოს დაწყ. დრო თარიღი: | დრო: | სამუშოს დამთ. დრო თარიღი: | დრო:

ხარისხის კონტროლი

- ☐ კლიენტის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
- ☐ შეკეთების დრო დაწყ./დამთ შემოწმებულია
- ☐ შეცვლილი ნაწილები მომზადებულია
- ☐ ტექნიკური ხარისხის კონტროლი შესრულებულია
- ☐ სისუფთავე დაცულია

თანამშრომლის გვარი და ხელმოწერა:

გამოკითხვისთვის სასურველია:

☐ ელ.ფოსტა ☐ ტელ. ☐ მტშ შენიშვნა:

სასურველი თარიღი: | დრო:

გამოკითხვის შედეგი

თარიღი: | დრო: | კმაყოფ: ☐ კი ☐ არა

გადაცემის შედეგები

- ☐ სამუშაოს შედეგი განმარტებულია
- ☐ ფასი განმარტებულია
- ☐ შეცვლილი დეტალები დაბრუნებულია
- ☐ გამოკითხვა შეთანხმებულია

სამუშაო დასრულებულია

თარიღი: | დრო:

მრჩევლის ხელმოწ: